


4
1966



ზაქარია ბუაჩიანი, უი ქუჩისა,
 ამას არ უნდა გვიწოდებოდა,
 ზაქარია ბუაჩიანი, ბაიბოძის;
 ბუაჩიანი არ უნდა გვიწოდებოდა.
 მოთა ზურთაძე



№ 15 (1241) თბილისი, აპრილი 1966
საქართველო
 გამოცემის 44-ე წელი
 ფასი 20 კაპა



გვთხილავს ყველაფერს და გვჩვენებს მათ, რაც ჩვენ ვერ ვხედავდით.

— შენ თუ კიდევ რამის სათხოვნელად ხარ მოსული, გავვიძებო! — შემიცხადა ღმერთმა და თვალი ამარიდა.

— გათავდა, ბატონო გიორგი! ამ მწერალთა მიეჭვეს ყრილობასაც დავესწრები, ვიტყვი ჩემს სათქმელს და მერე თქვენი ვარ — სტენოგრაფის მძაფრი შეტყეობა და ნერვული სისტემის აბსოლუტური მოშლილობით. — ვასარე მე.

— შენ სულელი ხომ არა ხარ?! — მოურღებლად მკითხა უფალმა და ელექტროლიტის თითი დააჭირა. ოთახში ახლადშეთავალულ პამიდორისფრად თმაშეღებლი, მუხლს ზევით ათი თითისდადებით მოკლუკაბიანი და ლოყებზე მწვანე წამწამებდაფენილი ანგელოსი შემოვიდა. ჩემს პირდაპირ, სავარძელში ჩაუსვენა და ფეხი ფეხზე გადაიდო. უფალი დაეღამდა. მე ილიოტივით გავიღიმე და თვალებით ანგელოსის მუხლისთავეს დავაკვირდი.

— რა გითხარი, გოგო, მე შენ! სამსახურში შიშველი ნუ დადიხარ-მეთქი! — ჰკითხა ღმერთმა და თვალი აარიდა.

— პაპიროსის წვეგს მიკრძალავთ, ბატონო, კონიაკის სმას მიკრძალავთ, ტენსტი, დიდი ხანია, ამიკრძალავთ; მოკლე კაბას ნუ ჩაიცვამო... ბარემ, აიღეთ და მონასტერში გამიშვით, ბოლოს და ბოლოს, მეც ქალი ვარ, მეც მინდა ცხოვრება! — თქვა ანგელოსმა და გადმოხედა. მე, დასტურის ნიშნად, ისევ გაუღიმე და თვალები უფრო გამიმტვრდა.

— აქვთ გამოხედვები, ბიჭო, შენ! — შემანჯღრია ღმერთმა. მე წაფეხურე.

— შენ გეუბნები! — არ მომეწონა უფალი.

— მე მითხარით რამე? — ვკითხე გულბრწყინოვანად.

— შენ გითხარი, ჰო, შენ! რომ გადმოგცენია თვალები, აქვთ გამოხედვები! შენ კი გადი, გოგო, და მეორეჯერ აღარ შემოუშვა აქ სტენოგრაფიანი და ინფარქტიანი ხალხი; რა მანერაა ეს, ყველა დავრდომილი რომ ჩემთან მოდის?! ჯანმრთელი კაცის ნახვა მინატრება. — იწყინა ღმერთმა.

— ნუ გეშინიათ, მამათ ღმერთო, სტენოგრაფია გადამდები არ არის! — დავაშვილე მე.

— არ ვიცი მე გადამდები-გადმომდები! მასე ამბობთ თქვენ კიბოზუც და აგერ ძუძუსი რაღაც სიმსივნეს ვერძობ, კეთილთვისებიანი მაინც აღმოჩნდებოდეს. — ინატრა უფალმა და თვალები ცრემლით აუვსო.

— ვისთან მკურნალობთ, ბატონო? — ამჩიუდა გული.

— ვისთან უნდა ვიმკურნალო, კრეტინო?! თუ სადმე ავადმყოფია, ყველა მე მეხვეწება, ღმერთო მამულელო და თუ სადმე ეჭიმი, ყველა მე მთხოვს, ღმერთო, გამაგებინე, ამას რა ჭირს და მომკალი მერეთ. — უმიმღოდ ჩაიჭინა ხელი ღმერთმა.

— არ იფიქროთ, მალალო ღმერთო, რომ კვლავ თხოვნი მინდა შეგაწუხოთ, — დავიწყე მე დუმილის შემდეგ, — მაგრამ, მოგახსენებთ, ღმერთი ხამებითა... — ვინ გითხარს, ბიჭო, შენ, რამდენობით ვარ მე? პირდაპირ ვერ მეტყვი სათქმელს? — გამიწყრა ღმერთი.

— უკაცრავად, უფალო! რჩევა-დაჩვენებისთვის ვარ მოსული, მწერლების ყრილობაზე სიტყვით ვაპირებ გამოსვლას და არ ვიცი, რაზე ვილაპარაკო, ეგება მირჩიოთ რამე?!

ღმერთი ჩაფიქრდა. მერე გაეცინა და მკითხა:

— შენ გინდა, მერე ხალხმა თქვას, ღმერთივით ილაპარაკაო?!

— რაღა დაგიმალა, ღმერთო, და კი მინდა?

— სალაპარაკოს მეტი რაა, დალოცვილო. მშიშარა ხომ არ ხარ?

— კი ვარ ცოტა მშიშარა, ღმერთო. — გამოფუტყდი უფალს.

— ცოტა ყველა ვართ, შე კაცო, მაგრამ უნდა გავებდეთ. — გამომიტყდა იგი.

— შენ მითხარი, ღმერთო, და გაუბედავ! — დავირტყე მკილი გულზე.

— მაშინ თქვი, რომ, დროა, აწი ახალგაზრდებსაც მიხედონ-თქო.

— დროა, ვითომ?

— შენა, ბიჭო, ღმერთის სიტყვის არ გჯერა და სხვისას დაიჯერებ? — გადაირია მამაშვიციერი.

— კარგი, ბატონო, ვიტყვი! — დაგნებდი მე.

— ისიც თქვი ბარემ, მწერალი რომ მოკვდება და მერე რომ იწყებენ იმის ქებას.

— მაგას რატომ შერებინა მართლა, ა? — დავინტერესდი მე.

— იმიტომ, სულელი, რომ მკვდარი არაფერს აღარ წერს და არავის აღარ ებრძვის. — დამიკაუნა მუბღზე უსათითი ღმერთმა.

— მაგი რომ ვთქვა, მომკლავენ და მერე რად მინდა მაგათი ქება? — ვთქვი მე.

— მაგის თქმის თუ გეშინია, მაშინ ის მაინც შეახსენე, სულ ერთი და იგივე ხალხი რომ დადის საზღვარგარეთ და წერენ შემდეგ შთაბეჭდილებებს, რამდენ ლიტერატურს იწვევება ინდონეზიაში ძროსა და როგორ გაახსენათ აფრიკის სპილომ თბილისის ზოოპარკი; გაურობ ხანდახან უსტოეთში წამსვლელთა სიამოვნებას.

— მაგასაც ვერ ვიტყვი, ღმერთო, იმიტომ, რომ მე თვითონ ვაპირებ წასვლას საზღვარგარეთ. — მიგაპყარი შემინებული თვალები უფალს.

— ის მაინც თქვი, დალოცვილო, ყველას ნუ იღებენ მწერალთა კავშირში, თორემ ერთ სულ მოსახლესაც უკვე სამი მწერალი მოდის — ორი პოეტი და ერთი პროზაიკოსი. — ჩაიხედა სტატისტიკურ ცნობარში მამაშვიციერმა.

— ვერ ვიტყვი, გამრიცხავენ. — გავიჩნიე თავი მე.

— ვერც იმას იტყვი, იუბილეებს რომ უნდაინ ზოგიერთებს, ნაწყვეტებს ნულარ კითხვლებზე მაინც მათი ნაწარმოებებიდან, თორემ თავი გეჭრებათ თქვენიც და იმათაც!

— ვერც მაგას ვიტყვი, უფალო, იმიტომ, რომ დღეს თუ ხვალ, ჩემი რიგიც მოვა.

— აბა, ის მაინც თქვი, კრიტიკა რომ იქნას, მწერლობა არ გვიყარება, არ გვიყარებაო; კრიტიკა თვითონ რას გავს, უბედური!

— ვერ ვიტყვი, ვერა! არ მინდა სიტყვით გამოსვლა, არა! — ვიკივლე მე.

— ეკ, ერთი, თქვენს ყრილობაზე დამასწრო და მერე მე ვიცი! — ინატრა ღმერთმა.

— ჰოდა, დაგვესწარი, დალოცვილო! — გამეხარდა მე.

— როდის ამირჩიეთ დელეგატად, რომ დაგვესწროთ?! — ეწყინა ღმერთს.

— დელეგატად შენ კი არა, ღმერთო, მე ძლივს ამირჩიეს. — გამეცინა. ირონიულად.

— შენ ვინ აგდინარ, მე რომ მედრები! — გაუვირდა უფალს.

— მე წვერი ვარ, გენაცვალე, მწერალთა კავშირის.

— რა დაწერე, ბიჭო, შენ ისეთი, რომ შენ წვერი ხარ მწერალთა კავშირის და მე არა? თქვენ ვინ გეზინავართ მე? ხომ არ გეზინავართ, გიორგი ზის გულხელდაკრეფილი და არაფერს აკეთებს? შენხელა რომ ვიყავი მე, ღმერთი ვიყავი უკვე! ვისი დაწერილი გეზინავართ შენ „ვეფხისტყაოსანი“, ა?! — წამოდგა ფეხზე ღმერთი.

— გადამრიე ხომ, მამაშვიციერო? მომკალი ხომ? — ამიკანკალდა ხმა.

— რა იყო, ბიჭო? — შეეშინდა ღმერთს.

— შენი დაწერილია „ვეფხისტყაოსანი“?

— აბა, შენი? — დამორცხვა გიორგიმ.

— მერე, დალოცვილო, ვერ ჩამოხვალ და ვერ ვიტყვი იმ ხალხს, რომ დატვირთეს ერთმანეთი? ღმერთი არ გუქამს? — ვუსაყვედურე მე.

— თვითონ უნდა მიხედნენ, გენაცვალე, თორემ მე თუ ვუთხარი, რა ფასი აქვს? ვეფხისა და მოყმის ბალადაც არ იყოს, ხალხურიო, რომ იქნას.

— როგორ? ვეფხისა და მოყმის ბალადაც შენია? ხალხური არ არის?

— რაა, ბიჭო, ხალხური? ხალხურია: „მინდორში, ბალახ-ბუღახში...“ „რათა, ბიჭო, რითვინაო...“ და „აქველა და მარო“. — ეწყინა ღმერთს.

— ესე იგი, შენ გინდით, ღმერთო, იუბილეს?

— სუ, ბიჭო! სულ ვაგონილა, ღმერთს იუბილეს უხდინენ? გიჟი კი არ ვიყავი მე, რუსთაველი რომ მოვაწერე „ვეფხისტყაოსანს“, მეცა მაქვს ფსევდონიმი, მართლ შენ კი არა. — გაეღიმა ღმერთს.

— მაგას ვერ დავიჯერებდი, თუ ღმერთი თვითონ იყო მწერალი, ადრე პირიქით მეგონა! — გამიკვირდა მე ისევ.

— არ გგონია, მწერალი რომ ღმერთი იყო? ღმერთი კი არა, რაც თავი მახსოვს, სულ თითებზე ჩამოსათვლელი მწერალი მყავს სამოთხეში გაგზავნილი. დანარჩენს ჯოჯოხეთიც სახეუწარი აქვთ. რა გჭირთ ასეთი, პირდაპირ არ ვიცი! — თქვა და ამოიხსრა ღმერთმა.

— მაინც რა არის საჭირო უფალო, იმისათვის, რომ მწერალი სამოთხეში მოხვდეს? — ვკითხე მე, როგორც დანეტერესებულმა პიროვნებამ.

— ჯერ ერთი, არ უნდა წერდეს ცუდ წიგნებს, არ უნდა იყო შურიანი, არ უნდა გიწვედეს წინაგას სენისი კარგი, არ უნდა იპარაფე სიუჟეტებს, რითმებს და სტრუქტურებს, არ უნდა გჟულდეს შენზე ნიჭიერი მწერალი, არ უნდა წერდეს ანონიმურ წერილებს და...

— ღმერთო, შენ როგორ ჩემი ეჭიმივით მეუბნები — ღვინო არ დალიო, პაპიროსი არ მოწიო... ყველაფერ მაგას თუ თავი დაგანებე, რაღა მინდა სამოთხე?

— თუ გინდა მოხედე სამოთხეში და ღმერთივით მწერალიო, თქვას ხალხმა, რომ გეუბნები, ისე უნდა მოიქცე. — დამარბა ჰაუა გიორგიმ.

— მაინც როგორია ეს სამოთხე, თუ ღმერთს მაგის გულისთქვა ამდენ სიკეთესზე უარის თქმა? — დავინტერესდი მე.

— შენ გეზინავ, ვიცი? ანგელოსები მეუბნებიან, სამოთხე გეაქვსო, თორემ მე თვალთ არ მინახავს; მგონი, სულაც მატყუებენ. — ისევ ამოიხსრა ღმერთმა.

— ჯოჯოხეთი? — ჩავსდევ ქიხიში.

— რა ჯოჯოხეთი?

— ჯოჯოხეთი თუ არსებობს?

— ჯოჯოხეთი კი არსებობს. ერთი ორჯერ ნამყოფიც ვარ. — თქვა ღმერთმა.

— როგორია, დედას გაგიცემ?! — ღმერთი დაფიქრდა.

— სიციხიან დღეს ვერის ბაზარში არ შეგივლია? — მკითხა ბოლოს.

— კი!

— ჰოდა, რაღას მცკითხები, გცოდნია და ეააა.

— სულ ვერ არის? — გამიკვირდა მე.

— ამას იმდენი საიდუმლოება გავანდე, მგონი მაგის გაშვება არ ღირს. — თქვა ღმერთმა თავისთვის და კეჭა მოიფხანა.

ამბურტლა.

— გაეფიქრე, ღმერთო? მართლა არ გამიშვებ?

— ადვილი!

ავდექი.

— მომეცი შენი დელეგატობის მანდატი!

მივეცი.

— ჩემს მოსვლამდე აქ ეგდე, ფეხი არ მოიცვალო! ჯობს, მე დავესწრო ყრილობას, თორემ შენ ათას სისულელეს იტყვი. — თქვა ღმერთმა.

— არ დამალალატო, მამაშვიციერო, არ დამეუბო, არ დარჩე იქ და არ დამტოლო მე აქ. — ავკითინდი მე.


ღმერთმა ლილაკს ხელი დააჭირა. ოთახში ისევ ის ანგელოსი შემოვიდა.

— ამას მიხედვ, უჩემოდ არსად წავიდეს! მე მალე დავბრუნდები! — დაუბარა ღმერთმა.

— მაინცადამაინც, ნუ იჩქარებ დაბრუნებას! — დაუბარა თავის მხრივ ანგელოსმა და ისევ გადმოხედა, ქვეყნიერება დამავიწყა.

ღმერთმა კარი გაიხურა.

ფრთხილად, მწერლებო! ღმერთი დაგვესწრებათ ყრილობაზე, შეიძლება, ათასი უბედურება თქვას და მერე მე არ დამაბრალოთ, არ გაგვაფრთხილო!



— რა მოუვიდა ამ ახალგაზრდას?
— ლექსის გათვითრება შირს.

მუშაურიძისა ქაჯღა!

ქართული
ბიბლიოთეკა

საჩინო ჩხარისპირელი
კაცია ხელსევაინი,
როცა დაჯდება საწერად,
სიტყვა მაუდის ფრთიანი.
ლექსებით გული იჯერა,
ახლა ერთობა ნოველით,
მემუარებსაც გვპირდება,
მისგან ყველაფერს მოველით.
მართლაც რომ საოცარია
საჩინოს ხელგაშლილობა,
ცხრა ტომის გახლავთ ავტორი,
ამაყად ხვდება ყრილობას.
თუ გულმა არ უღალატა,

თუკი განგებამ იწება,
საჩინოს ტეტრალოგიაც
სულ მალე მოგვევლინება.
გამოცემაზე არ დარდობს, —
დაწერააო მთავარი! —
მერე ნაცნობებს შეხვდება:
„რავარიაო, რავარი?“
და ოხრავს გამოცემლობა, —
რად არ გვეყოფნისო ქაჯღაღი?!
რა მოხდა, ჩხარისპირელი
მწერალია თუ სახადი?

არგელთდი წინწაპა

მუშაურიძისა პარაოი

ილია ჭავჭავაძის „პატარა ეპისტოლე მხარალთათვის“

(სცენა „ივერიის“ რედაქციაში)
ილია: „როცა ლექსების დათვალება მოგიბ-
დეთ, ნუ დაიფრცხვით შოთას ქვეყანურ თქმუ-
ლებას:

„თავი ყოლა ნუ ჰგონია
მედღესეთა კარგთა სწორი;
განაღა სთქვას ერთი, ორი,
უმსჯავსო და შორი-შორი“.

ხმა: „ბატონო ილია! რედაქციაში ბევრი ლექ-
სი შემოდის.“

ილია: „თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვები:
საგანი, ფიგურა, ვარდი, ბუღბუ-
ლი, მთვარე და სხვა ამისთანები, ბოლომდე
ნულარ ჩაიკითხავთ, გვერდზე გადააგვით, ღროს
ნუ დაკარგავთ!“

ხმა: „რითიღა მოვიცილოთ ეს აბუხარი მო-
ლაქსეები?“

ილია: „ვიგა, ჩაწერე რასაც გეტყვი: „სახე-
ლოვანო ძმანო მზისანო და დანო მთვარისა-
ნო! მოხედეთ თქვენსა, თქვენთა ფერბთა ქუეშე
გართმულსა, მოვილტვით თქვენდამი თხოვ-
ნითა დიდითა, რათა მოვილოთ მოწყალება წარ-
მოთქმად აზრისა ჩუენისა წინაშე თქვენსა.“

რამეთუ გვაღირსეთ ჩვენ და მოგვეჩვენე ნა-
თული თქუენისა გონიერების ხელთაწერებისა.
რომელნიცა აღტაცებითა დიდითა წავიკითხეთ
და განესაჯეთ კიდევცა.

ფიცივეთ ჩვენთა წინაპართა საფლავებს.
რომე არა წავგიკითხავს არცა ერთი ნაწარმოე-
ბი, რომელშიც აღდენი ქუა, გრძნობა და მა-
ღალზე მაღალი აზრები მოიპოვებოდეს.

ძრწოლითა, შიშითა და დიდის მორიდებითა
გიბრუნებთ თქუენს ხელთაწერებს. თუცაღა
დაებუქდავდით თქუენს ნაწარმოებთ, მკითხვე-
ლი საზოგადოება დაიწინებთა მოგვთხოვდა.
რათა ყუელა, რაცაი შემდგ ოდესმე უნდა და-
ბეჭდოს, თქუენთა ნაწარმოებთა დაბალის ღი-
რსებისა არ შეიძლება იყოს. რადგან ჩუენ ვიც-
ნობთ ჩუენს ლიტერატურას კარგად, ვიცით,
რომე რავდენიმე საუკუნეს შემდგომაც კი ვერ
ვპოვებთ ვერაფერს ღირსს თქუენი ნაწარმოე-
ბისას, ამისათვის უარის თქმას ვამჯობინებდით
და ათას გზითა ვთხოვთ, გვაპატიოთ. მოვიბ-
რით ქედსა თქუენთა ფერბთა წინაშე, ჰქმენით.
რაცა გასურდეთ!“

დიდი ილიას ეს „პატარა ეპისტოლე მწე-
რალთათვის“ გამოქვეყნდა „ივერიის“ 1890
წელს.

მასალა მოგვარდა 3. სიღამონიძე

ხვალ, 1966 წლის 7 აგვისტოს,
კვირას, დასვენების დღეს, სალა-
მოს 20 საათზე, თბილისის «დინა-
მოს», «ქარიშხალას», იპოდრომისა
და აერობორტის გაერთიანებულ
მოედნებზე ეწყობა მკითხველთა
საჯარო

შ ე ხ ვ ე ღ რ ა

მსოფლიოში პირველი სტეიკის-
ცური სახელმწიფოს—საშჩოთას კავ-
შირის ზოქლაქე, მშვიდობის დაცვის მსო-
ფლიო საშჩოთას ანტიმილიტარისციული
ღინისძიებების აქციურ მხარდამკერ,
საშჩოთას სტეიკისციური რესპუბლი-
კუბის კავშირის კონსტიტუციით განათლე-
ბისა და დასვენების უფლებებმინიჭებულ, ბა-
ბუთ „პრადის“ მკითხველ, სავაჟშირო
რადიოს რადიომხმენელ და ცენტრალური
ცოლუბიბის ტელემყურებელ, სსრ კავში-
რის მეცნიერებათა აკადემიის გამომ-
ცემლობის მიერ გამოცემული წიგნების მყიდ-
ველ, ლომონოსოვის სახელობის მის-
კოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ყოფილ აბიტურიენტ, საშჩოთას კავში-
რის შიკარაღბული ძალუბის რიგებიდან
ვალზე აღრე დემობილიზებულ, საშჩოთას კავ-
შირის ბუქდვითი სიციყვის სახელმწი-
ფო კომიტეტის გამომცემლობებში საკუთა-
რი წიგნების ყოველწლიურად გამომცემ, დღე-
შირის პირველი ხელთწერი თანამ-
გზავრისადმი მიძღვნილი ლექსის ავტორ,

ნობლის პრემიის ლაურეატ—ერნესტ
ჰემინგუეის ქართულ ენაზე გამოცემული ტო-
მების გადამთვალთვრებელ. საცქართულის
სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენო-
ბის პირდაპირ მცხოვრებ, ძართული ხალ-
ხის გენიის—შოთა რუსთაველის დაბადების
800 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ
სალამობებზე საკუთარი ლექსებით გამოსვლელ
პრემი მენიოსა
დიდებუაშვილთან
მესჯლას მისწავლი მართაუბით
საორგანიზაციო კომიტეტი.



— ნიტაპ, რას უბრიალებენ მთაწმინდას
ეს ახალგაზრდა კომედი?
— იძახიან, მოგვამებთ და გაინც ავალ-
თო.



— რაღა ყველა ამ ვაგონს ეტანებოთ? წინ მთელი უკვად-
ბანლობა ცარიელია!

სულ არაკომბას...

(საბახეზორად)

ორნი ნაპოეტარნი კაცნი ერთ ადგილს შეყარნენ. ერთმან ჰკითხა: რატომ კარგსა და ახალ ლექსებს აღარ სწერო?

თქვა მეორემან: კრიტიკისა და მკითხველისა მეშინიანო! კრიტიკისა და მკითხველის შიშით, ლექსი ვის გაუწყვეტიაო, აძრახდა პირველი; ძველი ლექსების ხათრით, ახალ ავსაც დაგისტამბავენო, არა და, რასაც შენ ბეჭდავდი, იმაზე უარესიც იბეჭდება, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ვფიცავო.

კი მაგრამ, შენ რაღას აყოფნებო? მე შენ გიცქერი, რას გიზამენ და მას შემდეგ მეც შენსავით ვიქმნო. იარა პირველმა და ყველა დამბეჭდავ-დამსტამბავი შემოიარა. ბოლოს, განაწყენებული, ერთი გაზეთის რედაქციას მიადგა და დიდად გაიხარა. უყურა მეორემან და მანაც ისე ქმნა.

თუმცა ჰონორარი, ჟურნალებთან შედარებით, სამჯერ ნაკლებია, მაგრამ, სულ არარაობას, მესამედიც ჯობიაო.

მისა ზილდანი

სად გამიშვებო!

საქართველო საქართველო

არითმია — პოეტებს ემართებათ. იწვევს ლექსის გათეთრებას.

ანონიმი — შემოქმედი, რომელიც სახელისთვის არ იბრძვის.

დაღვინი გმირი — ავტორის საყვარელი გმირი. მეტწილად თვითონ ავტორი.

დაძვინი პრინციპისი — პოეტებში ნახე.

დედანი — ფასობს ავტორის სიკვდილის შემდეგ.

ენა — შინაგანი არსის გარეგანი გარსი.

თანაავტორობა — როცა ლანძღვას ორნი იყოფენ.

იუბილარი — ჭაბუკური შემართების მქონე; ასე, 60-65 წლისა.

კრიტიკოსი — სხვათა ენაა. ქართულად წუნმდებელს ეტყვიან.

ლიტერატურული დილა — საღამომობით იმართება.

მთაწვინა — მწვერვალთა დამპყრობი მწერლების ბოლო პუნქტი.

მუზა — წერაში მოღის.

პლაგიატი — რაფინირებული ქურდი.

საკუთარი ხმა — დამწყებ მწერლებსა აქვთ. მერე სხვისაზე გადადიან.

სიუჟეტი — წარსულის გადმონაშთი. გეხვდება ძველ პროზაში.

ფორმა — შინაარსთან ნახე.

შინაარსი — ფორმასთან ვერ ნახავ.

ჰემიჰემიტი — ტექსტი რაჭულად.

ჰონორარი — მკითხველის ტანჯვისთვის გამოყოფილი თანხა.

შეადგინა გმირნტიმ

ისეთი ორგანიზაციაში ვმუშაობ, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში წასვლის მსურველებს საგზურებს აძლევს. პოდა, მოღის უამრავი ხალხი, სურთ იხილონ უცხო ქვეყნები, გაეცნონ სხვა ხალხებს...

აი, ახლაც ერთი ახალგაზრდა შემოვიდა. უკანასკნელ მოღაზე უკმა.

— გამიშვით სადმე, მე მწერალი გახლავართ. — დაიწყო მან.

— სად გნებავთ?

— ჯერ ის მიხარით, რა ქვეყნები გაქვთ.

— გვაქვს ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და სხვა დემოკრატიული ქვეყნები.

— პარიზი არ გაქვთ?

— აღარ არის; გათავდა.

— აბა, ჩემმა გოგონებმა რომ მიხარეს, პარიზი და იტალია აქვთო?

— ტყუილი უთქვამთ.

— ჩემი გოგონები ტყუილს არ იკადრებენ.

— მამ, იმათ უკეთ სცოდნიათ.

— როგორ არ იციან, მთელი მსოფლიო მოიარეს: ეს აზია, აფრიკა, ლათინები... ლათინ...

— ლათინური ამერიკის ქვეყნები. — შევაშველე სიტყვა.

— დიხ, ამერიკაში! ორ ქვეყანაში იყვნენ ერთად — პოლანდია-ლუქსემბურგი.

— ორ ქვეყანას ისა სჯობს...

— სჯობს? ერთ ადგილას თუ ორ ადგილას? მაგალითად, ჩეხოსლოვაკია და პოლშა?

— ერთ ადგილას უფრო მეტი დრო გექნებათ, ორ ადგილას — ცოტა...

— მე ორ ადგილას მიჩვენია.

— ჩვენ არ გვაქვს, ბატონო, ორი ქვეყანა ერთად.

— თქვენ მაინც რომელს მიჩვენო?

— მე გირჩევთ...

— თუმცა მართალი ხართ, ორ ადგილას უფრო უტამიტელი...

— მაშინ ერთ ქვეყანაში წადით.

— კი, ჩემთვის ერთ ადგილას სჯობია.

— კამბოჯაში წადით.

— კამბოჯა რა არის?

— ქვეყანაა.

— კამბოჯა, კამბოჯა... არა, მე ისევე იტალია მიჩვენია.

— იტალია არა გვაქვს.

— ბედი გინდა ადამიანს ყველაფერში.

— სვანეთში თუ ყოფილხართ?

— არა, მაგრამ რაღაც არც მაინტერესებს... იტალია მაინც სულ სხვაა.

— არმავში?

— მე რომელია? აქვე როა, ყურის ძირში? მესმის, ოკეანის გაღმა... ახლა ის არ მიხარიათ, მცხეთაში წადით. თუმცა, ამბობენ, ოკეანეზე ფრენა სახიფათოა, მართალია?

— არა. არ არის სახიფათო.

— უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ მე მაინც იტალია მიჩვენია, პარიზი, ბორდო...

— გრემი?

— გრემი?.. აა, გრემი, მაგის მეტს არაფერს ვსვამ. მართლა, კონიაკების წალემა თუ შეიძლება?

— მწერალი კაცი ყოფილხართ, სვანეთში წადით, გრემში, გელათში, იყალთოში, ვარძიში, არმავში... ჯერ იქ წადით!

— ვა, რას აყვირდი, კაცო, შენ, ვინ გგონია აქ ყრუ?


სცადეთ და ნუ დაგემართებათ ისტერიკა!

წ. ყორღანაშვილი

ნახ. 8. აბაზიძისა




გამიკო! რატომ აღარ წირ რომანებს? ენას მოუკალი, წირას ხომა არ აუტანისბარ!



„კვლა უძღვნა ძღვენი ორთავე, მსგავსი მათისა ბედისა, ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა ღვდისა, კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა, ათასი ცხენი ტაიჭი, სიღლით მსგავსი ქედისა“.

ნახ. ა. კანდელაკისა



— ამ ჩემი მეგობარი მწერალი შემოვიდა და ხომ არ გამო-სულა?
— ამ შემოსული გვირი მინახავს, ვვილო, და გამოსული — არავინ.

ისაჲ „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ

გამასპარა და, ამავე დროს, აღმაშფოთა უფრო „ნიანგის“ ა. წ. მე-10 ნომერში გამოქვეყნებულმა ჯგუფმა ღუმბავა გამოკვლევამ — „ცოტა რამ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო“. გამასპარა იმ მართებული და ნამდვილად ღრმა მეცნიერული დასკვნებით, რომლებიც მგზნებარე რუსთაველოვებს ხანგრძლივი ფილოსოფიური ფსიქოლოგიური დაკვირვებების შედეგად გაუკეთებია. მაგრამ აღმაშფოთა მისმა თვითდაჯერებულმა განცხადებამ: დანარჩენი ადგილები პოემაში ყველაფერი რიგ-რიგით (პერიფრაზი ჩემია. დ. პ.). მინდა, ვითხოვ პატივცემულ ავტორს: ნუთუ სჯე-რია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ის „დანარჩენი ადგილები“ მართლა ყველაფერი რიგ-რიგითაა? თუკი ეს ნამდვილად სჯერა, მაშინ მწყობრად მივუყუთ შეცნიერულ კვლევათა და ტექსტოლოგიურ შეპირისპირებათა მხარედ უტყუარ გზას.

ჯერ კიდევ მე-12 სტროფში შოთა წერს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“. მაგრამ შორს წასვლა არ დაგვირდება, პატივცემულო ჯგუფე! იქვე მე-17 სტროფში, თეთრით შავზე წერია: „მოშაირე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. რაშია საქმე? რომელი ვრთი უნდა დავიჯეროთ? მე არ ვიცი, ამ ორი სტრო-ფიდან რომელი ეკუთვნის შოთას და რომელი — ანონიმურ ავტორს. ასლა ამის გამოსაკვლევად არც დრო მაქვს და არც საშუალება: ფეხბურთზე მაგვიანდება ინ-გლისში (სარჯები ჩემია. დ. პ.). იუბილე კი უკვე მოგადგა კარზე. ფაქტი ერთია: ორივე სტრიქონის პოემაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ერთ-ერთი აუცი-ლებლად უნდა ამოვარდეს, ან მეორის შესაბამისად შეიცვალოს.

შემდეგ: ავტორი (ჯგუფე ღუმბავა. სახი, რა თქმა უნდა, ჩემია. დ. პ.) სამართლიანად გამოპყოფს პოემის სუთ ძირითად იდეა-ლიტიმოტივს, მაგრამ იქვე ავიწყდება ერთი უმთავრესი იდეა, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მთელს „ვეფხისტ-ყაოსანს“. ვისაც შოთას უუდავი პოემა ერთხელ მაინც წაუკითხავს თავიდან ბო-ლომდე, მე მას დაგარწმუნებ, რომ მექრთამეობა „ვეფხისტყაოსნის“ განუყოფელი ნაწილია.

ბევრს ჰგონია, ქრთამი მხოლოდ დღევანდელი მოვლენაა. ძალიან ცდებით, ჩემო მეგობრებო, აბა დღევანდელი ქრთამი მაშინდელთან რა მოსატანია! დღეს შენი დაწესებულების უფროსთან ნარდში თუ 1.000 მანეთს წააგებ და გამოთხოვებისას მის ბალანას ჯიბეში კამფეტის ფულად 2.000 მანეთს ჩაუკუჭავ, როსტვენი მეფე ამაზე ხომ სიცილით გადაბრუნდებოდა.

„როსტენისთვის წაატანა სამღვინო ტურფა ჯუბარები, კვლა ქურქელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჩამჩები“.

ვეითხულობთ 1658-ე სტროფში. არც ვაჭრობა იყო მაშინ ისეთ წესრიგში, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ. პოეტმა მე-12 საუკუნის საჩივრის ბეგრი წიგნი შეაჯერა ერთმანეთთან და მივიდა იმ და-სკვნამდე, რომ საქონლის დატაცების, მომხმარებლის მოტყუებისა და მყიდველებ-თან უხეში მოქცევის უამრავი შემთხვევა ყოფილა. ვაჭრები კი თავს მაინც კარგად გრძობდნენ და ქვეყნიდან ქვეყანაში დაეზტებოდნენ. ისმება კითხვა: რა სასწრე-ბით? ამის პასუხს 1122-ე სტროფში ვეითხულობთ:

„ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა, მათ საბოძვრისა ბოძება ჰმართებს მსგავსისა ჩვენისა“.

რაც შეეხება ქრთამს, მაშინ ქალაქის ფულს არავინ იღებდა. ეს კი არა, თვით ოქროც აღარ ითვლებოდა სიმდიდრის ნიშნად. 170-ე სტროფში წერია: „წელთა ოქრო შემოირტყა, (ავთანდილმა. დ. პ.) საღარიბოდ მოეკაზმა“.

როცა თვით ოქრომაც დაჰკარგა ფსხი, პირდაპირ ბრილიანტებზე და მარგალი-ტებზე გადავიდნენ:

ეს, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, 1558-ე სტროფი გახლავთ. ქრთამი მაშინ მე-12-ე სტროფში მოვლენად ითვლებოდა. უფრო მეტიც: უფროსთან უქრთამოდ მი-სვლა ჩამორჩენილობად და მემჩანობად მიაჩნდათ. ამიტომ უბოდიშებს ტყე-ღრემი ნათრევი და გაბითხოვებული ტარიელი როსტვენი მეფეს: „შემინდოთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნენთ გაწყობისა კმანია, ძღვენი არა მაქვს, მხოლოდ ფრიდონ და მისნი ყმანია, ოდენ ძღვენად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომბატანია“.

(1506-ე სტრ.) მოგესხენებთ, მაშინ შემნახველი საღარიბოები არ იყო, იგი უფრო გვიანდელი მოვლენაა. (ვისაც ჩემი ადრინდელი შრომები აქვს წაკითხული, ალბათ, ასსოვს, რომ მრავალი ისტორიული დოკუმენტის, ხელნაწერის, სიგელ-გუჯრისა და თამასუ-ქის შესწავლის საფუძველზე, დაავადინე და დაემტკიცე, რომ პირველი შემნახ-ველი საღარო საქართველოში დააარსა არსენა ოქელაშვილმა კასპის მახლობლად და პირველი მენახარეც თვითონ იყო („ჩემი შეიდასი თუმანი კასპის ერთ დიდ კლდეში დევსა“). საკითხავია, რას უშვრებოდნენ ტარიელი და მძანი მისნი ამდენ ფულს? პასუხი ერთია: ქვეყნში ფლანგავდნენ.

„დასდეს: შეიქმნა პურობა, გამარავლებდეს მახალსა“. ვეითხულობთ 1012-ე სტროფში. სიტყვაში — „მახალი“, ქართული სა-ლიტერატურო ენის განვითარების შედეგად, „ს“ გადავიდა „ყ“-ში და მივიღეთ დღევანდელი მახალი. იყო ყოველდღე ბატონისა და შვილის მწვადების ტრიალი. მე შენ გეტყვი და, გაყინულ ხორცს შეწვავდნენ! მოგესხენებთ, მაშინ მაყივარი ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენული, იგი უფრო მომდევნო პერიოდს მიეკუთვნება. ქეიფებმა და ღრებებმა ისეთი მასობრივი სახე მიიღო, რომ სამეფოში ხალხი ალაპარაკდა და ამ ამბავმა როსტვენის ყურამდეც კი მიაღწია. შემოთვალა როსტე-ვანი: ნეტავ, რა სასწრებით ახერხებენ აზღვე ქეიფსო და მიწეხიც მალე დაადგინა.

„მეფემან ბრძანა: „ვენახო მიწეხი ღვინთა ღვეისა“. (98-ე სტრ.) აქ სახი არც ჩემია და არც სხვისი, თვითონ რუსთაველისაა. ესე იგი, ისინი „ღვეი“ ფულით ქეიფობდნენ. ავთანდილს რა უშვდა, სპასპეტი იყო და თანაც ამირსპასალარის შვილი. ტარიელს კი ისედაც პატარა ხელფასი ჰქონდა და, სტე-ნოკარდით დაავადების გამო, ნახევარჯერ ბიულეტენზე ვგლო. საიდან შოულობდა, იგი ამდენ ფულს? „ღვეი“ რუსული სიტყვაა და ყველას კარგად მოგესხენებთ, რასაც ნიშნავს. და, აი, აქვე მინდა შევეკამათო გამოკვლევის ავტორის იმ მოსაზრე-ბას, რომლის თანახმადაც, თითქოს, რუსთაველი რუსი იყო, თანაც დონელი კასპი-მართალია, „ღვეი“ რუსული სიტყვაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს რუს-თაველის რუსობას.

1570-ე სტროფში ბერძნული სიტყვაც კი გვხვდება — ტირანი. „ვარდა სწებენ და აპობენ, ტირან და ცრემლი ჩადიან“. განა ეს გაგვაბედინებს იმის თქმას, რომ რუსთაველი ბერძენია? მართალია, გა-მოკვლევის ავტორის საფუძლიანი არგუმენტები მოჰყავს, მას ჩემს მიერ აღმოჩენი-ლი 98-ე სტროფიც უმარგებს ზურგს, მაგრამ ჯ. ღუმბავას ასეთი თამამი განცხა-დება, ჯერჯერობით, დაუსაბუთებლად მიმჩნია. პირადად მე კი მაინც ვფიქრობ, რომ შოთა რუსთაველი ქართველი იყო.

დიდნი კატარანი

1 ამის თაობაზე მე-12 საუკუნის ყველა ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიური და ლიტერატურული წყარო გადავსინჯე, კანონიერად შევამოცვლა, მაგრამ „მაცვიკოის“ ხსენებასაც კი ვერსად წვაყვი. (დ. პ.)

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— გაიბა, ჭალო? ვიოლას კვირფაშიც მოუშვრია ხალი!
— ცოტა აცალი და მახასაც გაიქრება!

მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმბავა. სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიწინაძე, ნ. შველიძე, ა. ჰელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და ეუწორის ჟურნალი „ნიანტი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянти“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 26/VII-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 137. ფიზიკურ ფორმითა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმითა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2741 უფ. 03175 ტირაჟი 52000

ИНДЕКС 76317

00-550

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბ. 66